



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 25 ივლისის
№ 1245 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 2 აპრილის
№ 01-05-04/95 დადგენილებით

თაბაშირმუყაოს სპეციალისტი - 040665

Gypsum Specialist - 040665

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: თაბაშირმუყაოს სპეციალისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 750 საათი.

აქედან: 60 % – 18 კრედიტი (450 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 250; შუალედური/საბოლოო შეფასება - 32, დამოუკიდებელი -168), 40 % – 12 კრედიტი (300 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის) პრაქტიკის საათი - 284, შუალედური/საბოლოო შეფასება - 16).

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის თაბაშირმუყაოს სპეციალისტი, რომელიც სპეცტექნოლოგიისა (თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე) და ზოგადი სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე, სათავსოთა შიგა ზედაპირებზე, სხვადასხვა მასალებისგან ინდუსტრიულად დამზადებული ფურცლებითა და პანელებით აწარმოებს კედლებისა და ტიხრების მოპირკეთებას სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით, აგრეთვე ამონტაჟებს შეკიდულ ჭერს, უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამა განსაზღვრავს სწავლების შინაარსს და უზრუნველყოფს თაბაშირმუყაოს პროფესიული სპეციალისტის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. სწავლება ითვლება დასრულებულად, როდესაც მიიღწევა სწავლების შედეგები და სტუდენტი იღებს მესამე საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის: სფეროს ძირითადი კონცეფციები და პროცესები; შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები; შენობებისა და ნაგებობების სახეები; მათი ცალკეული ნაწილების და კონსტრუქციული ელემენტების კლასიფიკაცია; ხაზვის საფუძვლები; შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპები; საბათქაშე სამუშაოების სახეები; მშრალი მობათქაშების ტექნოლოგია; თაბაშირმუყაოს კარკასები; კედლის მოპირკეთება თაბაშირმუყაოს ფურცლებით და მოსაპირკეთებელი პანელებით (ტექნოლოგია), თაბაშირმუყაოს ფურცლებით შემოსვის ნაკერების დამუშავების ხერხები; საბათქაშე სისტემების სახეები და მასალები; საბათქაშე ნარევები; შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმების ხერხები და ოპერაციული კონტროლის მეთოდები. აცნობიერებს თუ რა აუცილებელი ნაბიჯებია გადასადგმელი გართულებული ამოცანების შესასრულებლად.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები</p>	<p>საბაზო დონეზე შეუძლია სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და მარტივი ესკიზების შესრულება; კარკასების მოწყობა სათანადო ტექნოლოგიით; კედლების და ტიხრების მოპირკეთება დაწებებით, სხვადასხვა ხერხებით; თაბაშირმუყაოს ფურცლებით შემოსვის ნაკერების დამუშავება სხვადასხვა ხერხით და მეთოდით; მეტალის და ხის კარკასების მოწყობა შემოსვითი და შეკიდული ჭერებისათვის; შემოსვითი ჭერის შემოსვა თაბაშირმუყაოს ფურცლებით და პანელებით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პროფესიული პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი ადექვატური შეფასება, ანალიზი, დასკვნის გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია მარტივი კომუნიკაცია უცხო ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>

	სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს შრომის უსაფრთხოების და საწარმოო ჰიგიენის წესებს. ზრუნავს სამუშაოს ხარისხის დაცვაზე. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.

VIII. დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სამშენებლო ობიექტზე, რომლის მშენებლობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამშენებლო კომპანია.

- ა) მრავალპროფილიან საწარმოში;
- ბ) მონოპროფილიან საწარმოში;
- გ) როგორც თვითდასაქმებული.

IX. სწავლის შედეგების რუქა

	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	GUBSP01	თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	+	+	+		+	
2.	MATSP01	მასალათმცოდნეობა	+	+				+
3.	PRIIP01	ინფორმატიკის საფუძვლები	+	+		+	+	
4.	ENG3P03	ინგლისური ენა III		+		+		
5.	TPRA105	სასწავლო პრაქტიკა	+	+	+	+	+	
6.	MPRAC05	საწარმოო პრაქტიკა	+	+	+	+	+	

X. სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საათები	ECTS კრედიტი\ საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
		საგანი										
1.	GUBSP01	თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	9/225	60	60					6	2	97
2.	MATSP01	მასალათმცოდნეობა	3/75	30						6	2	37
3.	PRIIP01	ინფორმატიკის საფუძვლები	3/75		30					6	2	37
4.	ENG3P03	ინგლისური ენა III	3/75		30					6	2	37
5.	TPRA105	სასწავლო პრაქტიკა	5/125					117		6	2	0
6.	MPRAC05	საწარმოო პრაქტიკა	7/175					167		6	2	0
7.	სულ		30/750	90		160		284		36	12	168

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-7 კვირა I შუალედური შეფასებისათვის;

მე-14 კვირა II შუალედური შეფასებისათვის;

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა დასკვნითი გამოცდისათვის;

მე-20 კვირა დამატებითი გამოცდებისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

- I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია, მაქსიმალური შეფასებით 20 ქულა;
- II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია, მაქსიმალური შეფასებით 20 ქულა;
- III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია, მაქსიმალური შეფასებით 30 ქულა;
- გამოცდა - 2 სთ. თეორია, მაქსიმალური შეფასებით 30 ქულა;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:

- I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა, მაქსიმალური შეფასებით 20 ქულა;
- II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა, მაქსიმალური შეფასებით 20 ქულა;
- III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა: მაქსიმალური შეფასებით 30 ქულა
- გამოცდა - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, მაქსიმალური შეფასებით 30 ქულა;

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (B) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიტი დავალება
- დაკვირვება
- ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 2, დანართი 3)

XIII. სწავლების ფორმები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი (იხ. დანართი 4):

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების შემონტაჟე	შახი ბაქანიძე	ინჟინერ მშენებელი
მასალათმცოდნეობა	არჩილ ჩიქოვანი	ინჟინერ მშენებელი

ინფორმაციის საფუძვლები	თამარ კვაჭაძე	ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი
ინგლისური ენა	ფეტელავა სოფიკო	ფილოლოგიის დოქტორი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თაბაშირმუყაოს“ სასწავლო ცენტრის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სტუ-ს მეშვიდე კორპუსი, პირველი სართული (მ. კოსტავას #71.) პრაქტიკული სწავლების და სასწავლო პრაქტიკის სათავსოები. სტუ-ს პირველი კორპუსი (მ. კოსტავას #68): თეორიული სწავლების აუდიტორიები.

XVI. საწარმოო პრაქტიკა:

შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ მშენებარე ობიექტები.

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

„თაბაშირმუყაოს“ სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა ამავე პროფესიის IV საფეხურის პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი

შახი ბაქანიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

დავით გურგენიძე

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
N6, 09.06.2014წ.

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდირიგებულია

სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე, ოქმი №25
30.03.2018

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

დავით გურგენიძე